

სხინვალება მსხეთა გაანზილა თავში ისევ დინამო: ვიტ ჯორჯიას ლიდერობამ ერთი დღე გასტანა



გვინდა ჯაშუში, ჯაშუშის ჯაშუში და ჯაშუშის ჯაშუშის ჯაშუში...

მათხე წერილი გარიგებული მატჩის ციკლიდან



შოთას 5 წუთი

„ვილიარეალთან“ გუშინდელი მატჩის 85-ე წუთზე „ლევანტეს“ შემადგენლობაში შოთას არველაძე შევიდა.

იმ ხუთ წუთში შოთას ბევრი არაფერი გაუკეთებია და მისი ბოლო თვეების უქმობას თუ გავსხვავებთ, განსაკუთრებული მოლოდინიც არ უნდა გვქონოდა.

მაგრამ ეს მაინც განსაკუთრებული 5 წუთი იყო, სწორედ იმ მრავალფეროვანი უქმობის გამო — დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში საუკეთესო ქართველი თავდამსხმელი მოედანს დაუბრუნდა!

გუშინდელი დაბრუნებაც ამით იყო მნიშვნელოვანი.

მშვენიერი წინა სეზონის მერე, როცა შოთამ ლუის ვან გალის „ალკმარს“ უკაპიტნა და ბლომად გოლებითაც შეეწია, ტყუპისცალს ძველმა ტრავმამ შეახსენა თავი და ზაფხულს აქეთ ერთხელაც არ უთამაშია. ეს კი ლამის ერთი წელია.

წუხელვე შოთას რომ დაგურეკეთ, ეს გვითხრა: ძლივს, როგორც იქნა, ვითამაშე! საოცრად გახარებული ვარ. როგორი საქმეა, მოედანზე 10 თვე არ გავსულვარ. ყველამ მომილოცა, მათ შორის, კლუბის პრეზიდენტმაც. იმედია, ბოლო ქართველი არ ვიქნები, ესპანურ პრიმერაში რომ უთამაშია. ჯერ ვერ ვამბობ, დავრჩები თუ არა „ლევანტეში“, ამას სეზონის ბოლოს გადავწყვეტ.

ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ შოთა არველაძე მეორე ქართველია პრიმერაში: რამდენიმე წლის წინ „რეალ სოსიედადში“ გიორგი დემეტრაძე თამაშობდა.

მეასე მართულში ტატრას და სლაჰიას ერთი ფასი აქვს

ხუთი დღეც და, ქართველი „ლელოები“ ჩეხებს შეხვდებიან პრადის „სლაჰიას“ მოედანზე. აქამდე ნათქვამი იყო, რომ ერთა თასის ეს მატჩი „ტატრა სმიჩოვე“ უნდა გამართულიყო. თუმცა, კაცმა რომ თქვას, ამას სრულებითაც არ აქვს მნიშვნელობა, რაკი ქართველები ნებისმიერ სტადიონზე მოუვებენ ჩეხეთს. რაგბი ფეხბურთი არ არის, რომ ვთქვათ, ბურთი მრგვალია და სუსტთანაც ფრთხილად უნდა ვიყოთ. ისე კი, ჩეხეთი ამ უქმებზე რუმინელებმა გაანადგურეს — 11-ჯერ დააღწიეს და ქართველებისგანაც ნაკლებს არ ველით. ჩეხებთან უპირობო გამარჯვებაზე კი ვლაპარაკობთ, მაგრამ თამაში მაინც თამაშია. მით უფრო, რომ ქართული სანაკრებო რაგბის ისტორიაში ეს ჩეხი „ლელოების“ მე-100 მატჩი

იქნება და ამითაც არის გამოსარჩევი. არც ის არის უმნიშვნელო ამბავი, რომ ჩეხების ძლევი ერთა თასის ცხრილში პირველ ადგილს დავიბრუნებთ, რომელიც რუსეთმა ჩამოგვართვა ოდენ ერთით მეტი თამაშის ჩატარების გამოისობით.

ახლა კი, ერთხელაც გადავხელოთ საქართველოს ნაკრების საჩეხეთო 22-კაცეულს.

შპანა ხაზი: გიორგი შკინინი, ირაკლი ჩხიკვაძე, სანდრო ნიჟარაძე, დავით კაჭარავა, რევაზ ვიგაური, სანდრო თოდუა, ლაშა მალაღურაძე, ირაკლი ყიასაშვილი, გიორგი კაჭარავა, მერაბ კვიციანიშვილი;

შპრპინება: ვლადიმერ შველიძე, შოთა მელიქიძე, გიორგი მკვიდრიშვილი, დავით დაღუნაშვილი, სიმონ მაისურაძე, ლევან

დათუნაშვილი, გიორგი ნემსაძე, დავით ჩიჩუა, გიორგი ჩხაიძე, შალვა სუთიაშვილი, დიმიტრი ბასილაია, ბესო უდესიანი.

ხოლო თუ ამ უქმებზე ქართულ სარაგბო თემში უსიამოვნო ამბავი მოხდა, ჩვენი 18-წლამდელეების წაგება იყო რუმინელებთან. დასანანი წაგება იყო, რაკი მატჩის დასრულებამდე წუთით ადრე სამი ქულით ვიგებდით და „მუხის ფოთლებმა“ ჯარიმით მოგვიგეს.

ეს წაგება ნიშნავს, რომ ქართველი ჭაბუკები ევროპის ჩემპიონატზე მე-1 ადგილზე გავიდნენ. ურიგო შედეგი არ არის და თანაც ელიტარულ დივიზიონშიც შევინარჩუნეთ ადგილი, მაგრამ მეხუთე ადგილამდე ერთი წუთი რომ გვაშორებდა, ნაღდად საწყენია.

გიორგი დემეტრაძე

ფოტო: გიორგი დემეტრაძე

„ამერი“ — „ბორჯომის“ 82-ე წუთზე ბიორგი მიხრაძე მახვილი კუთხიდან მძლავრად დააქუხა და ლადო ნადირაშვილს ულამაზესი გოლი გაუტანა. მეგრელაძისთვის ეს მე-100 გოლი იყო ეროვნულ ჩემპიონატებში. ასგოლიანი კი ბევრი არ გეგონოთ — გიორგი მეთხუთმეტეა. მისი პირველი გოლი 1993-94 წლების სეზონში იყო. მაშინ მეგრელაძე წყალტუბოს „სამგურალში“ თამაშობდა... მერე იყო ერთი სეზონი პირველი დივიზიონის „მერცხალში“ და დაიწყო... „ტორპედო“, „დინამო“, ახლა კი „ბორჯომი“.

196 მატჩი, 100 გოლი — დაგვეთანხმებით, შესანიშნავი შედეგია. ამას დაუმატოთ თასზე თუ უცხოეთში გატანილი გოლებიც და... ერთიც: ასგოლიანთა თხუთმეტეულში გიორგის მამა — მერაბ მეგრელაძეც არის, რომელსაც 104 გოლი გაუტანია.

ამ შედეგის გაუმჯობესება 29 წლის გიორგის ამკარად შეუძლია და ვნახოთ...

ბადრი კატილაძის ფოტო



ორი მეგრელაძე ასიანთა კლუბში მამას მაისამდე გავასწრებ

— როგორ გრძნობს თავს 100 გოლის ავტორი?
— შშენიერად. მიხარია, რომ ეს მოვახერხე. ზუსტი რაოდენობის დასახელება არ შემიძლია, მაგრამ ვხვდები, რომ ამდენი გოლი ალბათ ბევრს არ გაუტანია.

— საიუბილეო გოლი ლამაზი გამოვიდა...
— იმ წუთში არც გამითვითცნობიერებია, მერე მითხრეს, ძალიან ლამაზი გოლი იყო და მეც ვიდუოფირზე ვნახე. მართლა ლამაზი გოლი გამოვიდა. ისე, მინდოდა, საიუბილეო გოლი ჩემს მეგობარ ზვიად სტურუასთვის გამეტანა წინა ტურში, მაგრამ არ გამოვიდა...
— თუმცა წლეულს პირველი

გოლი მეგობარ რევაზ ქემოკლიძეს „ჩაუწყვე“...
— სტურუამ მაინცდამაინც ჩემთან გაიგეთა თავი — ერთი ძალიან მაგარი ამილო.

— უმაღლეს ლიგაში შენი პირველი გოლი ვახსოვს?
— ზუსტად ნამდვილად ვერ გავიხსენებ. ერთი მახსოვს, რომ „სამგურალში“ ვთამაშობდი და 16 წლის ვიყავი.

— საიუბილეო გოლი ლამაზი იყო. კიდევ რომელ გოლებს გაიხსენებდა გიორგი მეგრელაძე?
— ყველა გოლი ლამაზია, რომელიც გააქვს, მაგრამ გამორჩეულად ეს და ბოლნისის „სიონის“ კარში გატანილი მაკარატელა მახ-

სოვს — ეს „დინამოში“ თამაშისას იყო. კიდევ, „ტორპედოში“, ფოთის „კოლხეთთან“ დამატებით დროში შეცვლაზე შევედი და 10 წამში „ოქროს გოლი“ შევაგდე.

— თხუთმეტეულში მამაშენიც არის — მერაბს 104 გოლი აქვს გატანილი...
— ახლოს არის და ვეცდები, გადავუსწრო.

— ამას ამ სეზონშივე აპირებ?
— რა თქმა უნდა. „ბორჯომში“ მაისამდე ვარ, ფორმის შესანარჩუნებლად ასეთი გუნდი მჭირდება. სეზონის ბოლოს კი ისევ უცხოეთში ვაპირებ კარიერის გაგრძელებას.

მიხეილ შორგოლიანი

საპარტიველოს შესაკრები შეკრიბა ბენაშვილი ლატვიამდე სიცხემ არ მიუშვა

საპარტიველოს ახალგაზრდული ნაკრები 25 მარტს თბილისში ლატვიელ თანატოლებს ამხანაგურად გაევიძრება. პეტარ სეგრტმა გუნდი უკვე შეკრიბა ეროვნული ნაკრების ტექნიკურ ცენტრში, გუშინ კი 16 საათზე გლდანში „ამერიის“ სტადიონზე პირველი ვარჯიშიც ჰქონდათ. წვრთნა საათსა და 45 წუთს გაგრძელდა. მცირე ტრავმის გამო არ უვარჯიშია მიხეილ ალავიძეს, ხოლო ალექსი ბენაშვილს მაღალი სიცხე ჰქონდა და შეკრებიდან გაათავისუფლეს. გელა შეყილაძის არყოფნაში სეგრტს თანაშემწეობა გიორგი დედარიანმა გაუწია. შეკრებიდან ოთარ გაბელიამ და ასლან ბალაძემ ავარჯიშეს, იქვე იყო სერგო კოტრიკაძეც. ხორვატმა მწვრთნელმა ბოლო წამს გამოიძახა „დი-

ნამოს“ თავდამსხმელი მათე ვაწაძე და „ვიტ ჯორჯია 2“-ის მეკარე ამირან კოტრიკაძე და მათ გუნდთან ერთად ივარჯიშეს.

დღეს გერმანიიდან ჩამოვლენ დავით თარგამაძე და მირზა ბჟალავა. გუშინდელ ვარჯიშზე კი სეგრტის განკარგულებაში ეს ფეხბურთელები იყვნენ: *ლორია, კოტრიკაძე, ელბაქიძე, გვამბია, მჭედლიშვილი, თომაშვილი, ქავთია, სანაია, კულაია, დაუშვილი, ნავალოვსკი, მირცხულავა, ფანცხავა, მერებაშვილი, ზაჭიაბერაძე, ბარაბაძე, ჩიშაკაძე, ვაწაძე.*

დღეს 16 საათზე ვარჯიში ისევ გლდანში იქნება, მანამდე კი სეგრტი ფეხბურთის ფედერაციაში პრესკონფერენციას გამართავს.

ნუბრი ლოლაძე



ბადრი კატილაძის ფოტო

პეტარ სეგრტი და გიორგი დედარიანი

მათე ვაწაძე: დუბლიორიდან დუბლეზამდე

თბილისის „დინამომ“ ეროვნული ჩემპიონატის მე-18 ტურში „ეროვნულზე“ ცხინვალის „სპარტაკს“ 19 წლის მათე ვაწაძის დუბლით სძლია (2:1). მეორე ნრეში ვაწაძე მართლაც გამოირჩევა ჩვენს ჩემპიონატში და უკვე 5 გოლიც დაუგროვდა. როგორც შევითქვით, მისი კარგი თამაში არც ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელ პეტარ სეგრტს გამოჰპარვია და 25 მარტს ლატვიელებთან ამხანაგური მატჩისთვის გამოიძახა. „დინამოს“ ახალგაზრდა ფორვარდს გუშინ გავესაუბრეთ...

— როგორც შევითქვით, ახალგაზრდულ ნაკრებში გამოვიძახეს. არადა, თავიდან სიაში არ იყავი...
— უკვე ნაკრების ბაზაზე ვვარჯიშობ — „სპარტაკთან“ მატჩის შემდეგ მითხრეს, 22 მარტს შეკრებაზე მოდიო.

— ახალგაზრდულ ნაკრებში პირველად გამოვიძახეს. ეს შენთვის რას ნიშნავს?
— უზომოდ გახარებული ვარ. ახალგაზრდა ფეხბურთელისთვის ამ ახე დიდი საჩუქარი არაფერია. ახლა მთავარია, მწვრთნელის იმედები გავამართლო.

— მეორე წრეში „დინამოს“ ლიდერად იქეცი. მნიშვნელოვანი გოლები გაიტანე — ბოლნისში ბოლო წუთზე შეაგდე და გუნდს მოაგებინე, შემდეგ კი „ბორჯომთან“ და „სპარტაკთან“ დუბლები გაახერხე...
— ღვთის მადლით, კარგად მიმდის თამაში. თავდამსხმელი ვარ და, რა თქმა უნდა, გოლების გატანა მევალება. იმედია, ასე გავაგრძელებ.

— პირველ წრეში კი შენს მთავარ გუნდში დაწინაურებაზე ლა-

პარაკიც არ ყოფილა...
— ორი წლის წინ მუხლზე ოპერაცია გავიკეთე და ერთი წელი გამიცდა. ფორმის აღდგენას დრო სჭირდება, ამასობაში უორუ აკრამი დამავდა და მეც მანსი გამიხდა. ახლა ნელ-ნელა შევდივარ საუკეთესო ფორმაში.

— ისე, ყველა აღნიშნავს, რომ „დინამო“ მეორე წრეში კარგად ვეღარ გამოიყურება...
— ჩვენც ყოველი მატჩის შემდეგ ამაზე ვსაუბრობთ. მჯერა, მალე დავლავდებით.

— ჩემპიონობისთვის ბრძოლაში მთავარ კონკურენტად რომელ გუნდს მიიჩნევ?
— „ვიტ ჯორჯიას“, რადგან „ხესტაფონმა“ უკვე ბევრი ქულა დაკარგა. თანაც ვიტყვებ მცხეთაში ვეთამაშებით და...
— „ხესტაფონთან“ სათასო დაპირისპირებაზე რაღას იტყვი?
— ჩვენი მიზანი დუბლის შესრულებაა და, ბუნებრივია, „ხესტაფონს“ თუ არ ვძლიეთ, ამას ვერ მოვახერხებთ. ასე რომ...

ნუბრი ლოლაძე




სპარტაკელებში მათე ვაწაძე (შუაში) ვერ შეაჩერეს

საპარტიველოს 19 ჩემპიონატი პირველი ლიგა 19 ტური

აღმოსავლეთი	
მუხრან 0:0 5	დინ-მირანი 2
ამერი 2	2:0 კახეთი
გაგრა	18 10 5 3 38:28 35
დინამო 2	18 10 5 3 28:14 35
მემაქრე	18 8 6 4 25:17 30
ვიტ ჯორჯია 2	18 8 5 5 26:15 29
ჩიხურა	18 8 5 5 28:24 29
ოლიმპი 2	18 7 5 6 25:19 26
კახეთი	19 7 4 8 29:30 25
ამერი 2	18 7 2 9 30:31 23
ოლიმპიკი	18 3 4 11 23:38 13
ნ.დინ-მერანი 2	19 0 5 14 17:53 5

დასავლეთი	
გადაღებული მატჩები	ზესტაფონი 2 1:2 სამტრედი
მუხრან 1:0 უნივერსიტეტი	მარტვილი 1:0 კოლხეთი
მთაროეთი	18 16 2 0 41:12 50
მარტვილი	18 9 4 5 24:16 31
მემაქრე	18 10 0 8 30:29 30
ხესტაფონი 2	18 9 2 7 28:18 29
კოლხეთი	18 7 5 6 23:20 26
ტორპედო	18 7 4 7 27:25 25
ხობი	18 6 5 7 23:23 23
უნივერსიტეტი	18 6 3 9 16:18 21
სამტრედი	18 3 3 12 19:41 12
ფახისი	18 2 2 14 17:46 8

„ფაზისი“ მოხსნილია გათამაშებიდან



გიორგი მერეზაშვილი უგოლოდ დაშვრა

თბილისი. 22 მარტი. 15 საათი. პროფესიონალი. 1 000 მაყურებელი

დინამო 2:1 სპარტაკი

1:0, 2:0 ვანაძე (51, 71), 2:1 ლონდაძე (86)

დინამო: ოვრო, შ. კაშია, ზელიძე, გ. კაშია, გველესიანი, ხმალაძე, დილმულაშვილი, ხუციშვილი (სპასოვიჩი 70), მ. მერეზაშვილი (ნ. ფირცხალავა 90), დ. ოდიკაძე, ვანაძე, სათადარიგო: ლორია, თომასიანი, ქანთარია, ნერგაძე

სპარტაკი: ქვილითაია, ბახტურიძე, ქვიციანიძე, ხაჭიპერაძე, შამუგაშვილი, გოგობია, თ. თარხნიშვილი (დათუნაშვილი 63), ძარია, სიდაშვილი (გ. კვარაცხელია 78), ტყეშელაშვილი (თეთთუმანიძე 72), მ. ლონდაძე, სათადარიგო: კოდლაძე, ხიზანიშვილი, მედოევი, კუმრედიშვილი

გაწმენილები: ბახტურიძე (74), გოგობია (76), შ. კაშია (89)

მსაჯეები: ლ. სილაგაძე, ი. კაკაბაძე, გ. ყრუაშვილი, ვ. გუმბერიძე

ჯოკერი, სახელად მათი დინამო სპარტაკთან თასი გაიმორა

ილია ნანოვაშვილი

„ვიტ ჯორჯია“ მხოლოდ 24 საათით იყო ლიდერი, რაკილა „დინამომ“ თავისი გასაკეთებული გააკეთა და ცხინვალის „სპარტაკთან“ სამი ქულა აიღო. როგორ ვთქვათ, დუშან უპრინის გუნდმა ადვილად მოიგო, როცა პირველი ტაიმის შემდეგ ტაბლო ნულს აჩვენებდა — თუმცა ისიც ჩანდა, რომ კობა ჟორჯიაშვილის გაწვრთნილები იღლებოდნენ, მეორე ნახევარში შეცდომებს უმატეს და აკი, მათ ვაწაძემაც...

ვაწაძემ ოსტატურად შეაგლო ორივე გოლი — 51-ე წუთზე გიორგი მერეზაშვილის პასის შემდეგ მშვენიერად დაარტყა საჯარიმოს გარედან, 20 წუთში კი ნაკუთხურალ ბურთს თავი მარჯვედ დაჰკრა. „დინამოს“ კარგი ცენტრფორვარდი ეზრდება, რომელმაც წლეულს დაიმკვიდრა ადგილი გუნდის ძირითადში და ისე დაეჩვენა გოლებს, ტრავმირებული გაბონელი ჟორჯ აკირეში აღარავის ახსოვს.

შესვენებამდე თითქმის სულ „დინამომ“ უტევედა. ზედიზედ ორი საგოლე შანსი მიეცათ მიხეილ ხუციშვილსა და ლევან ხმალაძეს. „ხუციშვილი“ მერეზაშვილის კარგ გარდევას მიაყოლა უზუსტესი თავური, შემდეგ კი შორიდან დაარტყა და ქვილითაიამ იყოჩაღა. „სპარტაკის“ მეკარემ მერეზაშვილიც გაამწარა

ენიერად დაარტყა საჯარიმოს გარედან, 20 წუთში კი ნაკუთხურალ ბურთს თავი მარჯვედ დაჰკრა. „დინამოს“ კარგი ცენტრფორვარდი ეზრდება, რომელმაც წლეულს დაიმკვიდრა ადგილი გუნდის ძირითადში და ისე დაეჩვენა გოლებს, ტრავმირებული გაბონელი ჟორჯ აკირეში აღარავის ახსოვს.

და ლამაზი გოლი არ გაატანინა, ხმალაძეს კი თავურებით ჰქონდა შესაგდები, თუმცა აქაც ქვილითაია... უნდა ითქვას, რომ წინა მატჩებთან შედარებით „დინამომ“ უკეთესად გამოიყურებოდა, მეტი იყო ტემპი, კომბინაციური თამაში და აკი, „სპარტაკმაც“ ვერ გაუძლო.

„მერეზა ნაკრებში“ — ასეთი პლაკატი გამოფინეს გუნდში „დინამოს“ გულშემოტიკერებმა, თუმცა კლაუს ტოპმიოლერი მათ ჯერჯერობით არ უჯერებს. „დინამოს“ 17 ნომერი ნაკრებში კია, მაგრამ მხოლოდ 21-წლამდელებში, რომელთა თავკაცი პეტარ სეგრტი შაბათს „ეროვნულზე“ ესწრებოდა თამაშს.

მერეზაშვილი და ხუციშვილი 11-11 გოლით ჩემპიონატის მთავარმეგობრები არიან, ერთსაც ძალიან უნდოდა გატანა და მეორესაც, მომენტებიც ჰქონდათ, მაგრამ... გიორგიმ მეორე ტაიმში ერთხელ კარს ააცილა, მეორედ კი მეკარესთან პირისპირ დარჩა და ჩაწოლილ ქვილითაიას კი გადააცილა ბურთი, მაგრამ ძელს მოარტყა.

უპრინმა მეორე ტაიმში ინერტული ხუციშვილი ილია სპასოვიჩით შეცვალა და გადანაცვლებებიც გააკეთა: ჩერნოგორიელი მარცხენა შემტევედ შევიდა, მერეზაშვილი კი ცენტრში გადავიდა...

ამ დროს აღმოჩნდა, რომ „სპარტაკს“ ძალა შერჩენოდა, ბოლო 15 წუთში „დინამოს“ დაცვადა აირია და ვანაძემ კვარაცხელიას უეჭველად უნდა გაეტანა, მაგრამ ახლოდან ძალიან ცუდად დაარტყა.

და მაინც, „დინამომ“ — „სპარტაკი“ გუმინწინაც ისე დამთავრდა, როგორც ორიოდ კვირის წინ თასზე — 2:1. ოთხნობიერად გადაუგლო ბურთი საკუთარ საჯარიმო ხაზთან მდგარ გურამ კაშიას, ვისაც მამუკა ლონდაძემ აცალა ბურთი და ეგრევე კარში გაახვია.

ამ კურიოზულმა გოლმა „სპარტაკს“ ხასიათი ოდნავ თუ გამოუკეთა...

მისხეთი 0:0 ოლიმპი. მისხეთი: შევრილაძე, ორბელიანი, მახვილაძე, სილაგაძე, ხუციშვილი, ჯოჯოხია, ვაბედაძე, გენაძე, კახელიშვილი (სტეფანიშვილი 80), დედოფლიანი, იმედაძე (ომელიანი 70) სათადარიგო: კალანდიაძე, მგელიძე, სეზისკვერიაძე. მწმრთნელი: ხვიჩა ქასრაშვილი.

ბორჯომის მისხეთიდან ახალციხის მისხეთამდე

მისხეთი შორეულიდან ბორჯომიდან

თამაშიდან გამომდინარე, ფრე ლოგიკური შედეგი იყო — გუნდებმა თითო მომენტი შექმნეს. საჯარიმოდან საჯარიმომდე გუნდები ძალიან სწრაფად გადადიოდნენ და ბურთი თითქმის არ ჩერდებოდა. გატანით კი...

სატურნირო ცხრილიდან გამომდინარე, მოგება უფრო „ოლიმპს“ უნდოდა — რუსთაველებმა ამ ქულით მეოთხე ადგილი დაკარგეს, „მისხეთი“ კი დებიუტანტის კვალობაზე, ქულებს საკმარისად აგროვებს, თანაც, მეორე წრე ბორჯომში დაიწყო, თუმცა, როგორც შევიტყვევით, მომდევნო საშინაო მატჩს მშობლიურ ახალციხეში ჩაატარებს.

უფრო მეტჯერ „ოლიმპმა“ დაარტყა კარში, თუმცა ლევან სილაგაძის, დავით ლევანიანისა და გიორგი ვაბედაძის დარტყმულები სუსტი გამოდგა. სამაგიეროდ, თემურ რაქვიაშვილმა გაისროლა მძლავრად, მაგრამ სიზუსტე აკლდა.

საგოლე მომენტები კი მეორე ტაიმში იყო. 57-ე წუთზე პაატა გვირგვინილის ჩაწოდების შემდეგ დავით ინასარიძემ კარდაკარგულ ბეჭა შეყილაძეს შვილიოდ მეტრიდან დაუ-

რტყა, მაგრამ მცირედით ააცილა. ამის შემდეგ დრო კიდევ რჩებოდა, მაგრამ რუსთაველებმა ამ დროს გააცუდეს თავიანთი მომენტები, რომ „მისხეთს“ აღარაფერი უშეკლიათ.

88-ე წუთზე ალექსანდრე ომელიანივი მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ გიორგი სომხაშვილი უეჭვებში ჩაუვარდა და ბურთი აარტყა, დამატებაზე მეკარემ უკვე რეკვან გეწამეს დაასწრო, მაგრამ ნიკა სტეფანიშვილის დარტყმას ვეღარაფერი უშეკლიდა, კარის ხაზზე მდებარე ლევან მერეზაშვილი რომ არ მდგარიყო...

გრემპონეზი

ხვიჩა ქასრაშვილი: თანაბარი თამაში იყო. შანსი გვექონდა, მაგრამ ვერ ვავიტანეთ. შესაცვლელი ბეჭარი რამეა, თუმცა მაისამდე ვერაფერს შევძლებთ. წლეულის მიზანი კი მეოთხე ადგილია — „ამერთან“ და „ბორჯომთან“ პრიზიდან მოგვიწევს ამ ამოცანის შესრულება.

კობა თედიაშვილი: თამაშიდან გამომდინარე, ფრე ორივესათვის მისაღები იყო, გოლის გატანა ხუციშვილმა შევძელი. ხვიჩა ქასრაშვილს კი ვულოცავ უმაღლეს ლიგაში მწვერთხელად დაბრუნებას და წარმატებებს ვუსურვებ!

გაუქმებული გოლი ახალციხიდან ქალიშვილს

ზუგდიდი. 22 მარტი. 15 საათი. მ. თუთუბარიძე. 2 200 მაყურებელი

გვლუბი 0:0 ლოკომოტივი

გვლუბი: ივარდავა, ზ. ექონია, გვანია, მაჭავარიანი, კაკაბაძე, დ. ქირია (ქომოთიანი 79), ვართაგავა, ხოხონიშვილი, ნურნუშია (ზ. ჯანაშია 62), კრასოვსკი, ჭკადუა, სათადარიგო: ქალდაანი; გ. ქირია, ხუხია, გ. ექონია, გ. კუჭუხიძე

ლოკომოტივი: მ. ალაფიძე, დ. ფოფხაძე, გუშარაშვილი, ფარულავა, ქუხილაძე, გულორდავა (ცილაური 79), ბუღალაშვილი, პარბაქაძე (ლ. ჩაგელიშვილი 87), ქუცურუა, დარასელია, დ. ჩაგელიშვილი (კაჭახიძე 62) სათადარიგო: მიგინიშვილი; გ. კვახაძე, ნულაძე, ალექსიძე

გაწმენილები: გუშარაშვილი (42), ხოხონიშვილი (51)

მსაჯეები: ლ. ფანიშვილი, კ. გაბრიელაძე, კ. ტყეშელაძე, ი. ურუშაძე

სოსო გულუა ზუგდიდიდან

მინდვრის მდგომარეობაზე შეხვედრის ოქმში დამაკმაყოფილებელი კი ჩაიწერა, მაგრამ ასეთ მიხედვით არავითარი საფეხურით მოთხოვნების დაკმაყოფილება არ შეუძლია. თამაში უხეშობის ზღვარზე მიდიოდა, ტექნიკური ელემენტების ჩვენებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ისიც უნდა ითქვას, რომ ფეხბურთელებს თავი არ დაუზო-

გავთ და თამაშშიც ორმხრივი იერიშებით დაიწყო.

ჯერ სტუმრებმა შეუტეს „გვლუბის“ კარს, მაგრამ მცველებმა განმუხტეს მდგომარეობა. მე-9 წუთზე სტუმრები საკუთარ ნახევარზე დაჯარიმდნენ და კაკაბაძემ უძლიერესად დაარტყა, მაგრამ ბურთი კარს ასცდა.

მე-16 წუთზე „გვლუბმა“ კუთხური ჩააწოდა — სტუმართა მცველმა თავით გამოიტანა ბურთი სა-

ჯარიმოდან, იქ კი მას დავით ქირია დახვდა (იმ დღეს ქალიშვილი შეეძინა), რომელმაც დაახლოებით 15-16 მეტრიდან ბურთი კარში შეაგლო. საჯარიმოში ამ დროს ორივე გუნდის ფეხბურთელები ბლომად იყვნენ და გიგა ჟვანიაზე თამაშარე დაფიქსირდა — არბიტრმა გვერდით მსაჯთან მოთათბირების შემდეგ გადაწყვიტა, ბურთი არ ჩაეთვალა. ამ გადაწყვეტილებამ მასპინძლები კი აღაშფოთა, მაგრამ რაღას გახდებოდნენ...

ტაიმის მიწურულს თამაში ცოტა გამოცოცხლდა — 39-ე წუთზე გიორგი კრასოვსკიმ გოლის გატანის რეალური შანსი დაკარგა, როცა მარცხენა ფრთიდან კარგი პასი მიიღო ლერი ხოხონიშვილისგან და თითქმის პირისპირ ვეიდა მეკარესთან, მაგრამ ტალახიანმა მიწორმა დააღალატა და...

საპასუხოდ გიორგი ქუცურუას ჰქონდა მასპინძელთა კარის დალაშქვრის საშუალება, მაგრამ დარტყმა არ გამოუვიდა.

მეორე ნახევრის დასაწყისში მოედანზე „გვლუბი“ აქტიურობდა და რამდენიმე კარგი შეტევაც განახორციელა.

ჯერ იყო და, წურწუმიას გადაცემა კაკაბაძემ ვერ გამოიყენა რიგაინად, შემდეგ კი ჭკადუა-ხოხონიშვილის კომბინაცია ზურაბ ექონიამ უძლიერესი დარტყმით დაასრულა, მაგრამ შედეგი არც ამას მოჰყოლია.

თამაშის ბოლოს სტუმრებს თითქოს მეორე სუნქვა გაეხსნათ და უფრო მონდობით ათამაშდნენ. სახიფათო მომენტები შექმნეს „გვლუბის“ კართან ქუცურუამ და დარასელიამ, მაგრამ ამაოდ.

მატჩის შემდეგ უურნალისტებთან შეხვედრისას სტუმართა მწვერთხელი გიორგი კიკნაძე სულ რამდენიმე სიტყვით შემოიფარგლა — მადლობა გადაუხვდა თავის გუნდს ქულის მოპოვებისთვის.

სამაგიეროდ, აღშფოთებას ვერ მალავდა მასპინძელთა მწვერთხელი ბესიკ შეროზია: „საქმე მარტო ქუ-

ლებსა და სატურნირო მდგომარეობაზე როდია. საქმე ისაა, რომ ასეთი მსაჯობა ცუდად მოქმედებს ფეხბურთელთა ფსიქიკაზე და ამან შეიძლება, მომდევნო შეხვედრებს ცუდი დალი დაასვას“.

Table with 4 columns: Team, Goals, Assists, Yellow Cards, Red Cards. Rows include Dinamo, Vit Georgia, Zugdidi, etc.

კოსმოპოლიტური მიმოხილვა

გვინდა ჯაშუში, ჯაშუში ჯაშუში და ჯაშუშის ჯაშუშის ჯაშუში...

კოსმოპოლიტური მიმოხილვა

ვისი რა საქმეა, თამაშს ჩავაწყობ თუ ჩავალაგებ? თამაში ჩემია, მოწინააღმდეგე ჩემია, ამბავი ჩემია, გაგება ჩემია, შენ რა? თამაშს თუ ვაწყობ, ესე იგი, მიჭირს, არა? პოდა, შენ გაჭირვებულ კაცს ეღობები, ძმაო?

არა, არ ვხუმრობ, მართლა ვკითხულობ. აი, როგორ გგონია, რატომ ვაწყობ თამაშს? იმიტომ, რომ რაღაც კარმუშკას ვკარგავ, ხო მართალია? აბა, ტყუილად, გიყი ხო არა ვარ. ეხლა, კიდევ, წარმოიდგინე, გუნდში რამდენი კაცია თავის დამლაგებლებიან-მძლოლებიანად. ისინიც ხო კარგავენ ლუკმა პურს? პოდა, შენ რას ჩაღიწობ, ამ ხალხის პატარა ამბავს და სიხარულს ხელი გინდა შეუშალო?

აი, ასე. თან იცოდე, ეს ისე, კულტურულად გავაიასნე, თორემ სხვანაირადაც შემიძლო. ვიცი ეხლა, რასაც მიბასუხებ, მეტყვი, რომ ხალხს ჩაწყობილი თამაში არ უნდა ანახო, რომ ეს ამ ხალხის შეურაცხყოფა და რაღაც ეგეოები. მე კიდევ, აი, რას გიბასუხებ: მე არავის არაფერს ვატყუებ, იმ ხალხმა ძალიან კარგად იცის, რომ ეს, ეს და ეს თამაში ჩაწყობილია, ასე რომ, ყველაფერი სუფთაადაა. არავინ არავის არ აყენებს, ძმაო, შეურაცხყოფას. ეს საქართველოა. ჩვენ სხვა ტრადიციების ხალხი ვართ, სხვა ჯივარი გვაქვს.


მერე, განა იმ ხალხმა არ იცის, რომ ხვალ მე მომიწევს მათთან მისვლა, პატარა პატივისცემა, მაღარიჩი, მაგისი „ჩაწყობილის“ ყურება. ეგრეა, ბრატ, დღეს შენ მცემ პატივს, ხვალ მე შენ არ გეცი პატივი და შენ მე, ეგრე ხომ ურთიერთპატივისცემა და ქართველობა დაიკარგება. ეგრე ხო გადავშენდებით...

ეხლა დამიწყებ, ჩაწყობილი თამაშებით ქართული ფეხბურთი ვერ განვითარდება, ნაკრებს ახალ თაობებს ვერ აღუზრდით, ევროთასებზე წაგებო... ისევე გეშლება, ძმისგული. აბა, ერთი, მითხარი, რამდენი წელია, რაც ქართული ფეხბურთი არსებობს და რამდენჯერ მოიგო ქართულმა გუნდმა ევროთასი. ერთხელ ას წელიწადში, ხო? პოდა, ეხლა საკუთარი სიტყვებს დააკვირდი, მე რომ გამარჯვებას ერთი საუკუნე დაველოდო, ჩემს ამბავს არ მივხედო და გარშემო სასტავიც ულუკმაპუროდ დავტოვო, როგორ გგონია, რა მოხდება? არ გინდა, არ დაიბაბო, მე თვითონ გეტყვი, რაც მოხდება: ერთ-ორ წელიწადს შემხედან და მერე გვერდზე გადადგამენ, ამ ადგილს კიდევ სხვას ჩააბარებენ. ვინ იზამს, ძმაო, ამას? ვინ და, სწორედ ის ხალხი, რომელსაც როგორც შენ ამბობ, ჩემი ჩაწყობილი თამაშებით ვატყუებ.

კარგი: მე რო თამაშს ვაწყობ, ამით ჩემს საქმეს ხო ვიკეთებ, მოწინააღმდეგეს ხო ვახეირებ, ქვეყნის საქმეს ხო ვაკეთებ — სახელმწიფოში ფეხბურთის ჩემპიონატი ტარდება, ზნაჩიტ, სიმშვიდეა და მიგვიღეთ, ძმაო, გინდა ევროკავშირში, გინდა საბჭოთა კავშირში და გინდა, კიდევ მონაკავშირში — პოდა, წელიწადში ერთხელ, ზაფხულზე, ყველა რო ქობულეთშია, მე ევროთასზე ერთ თამაშს წავაგებ თუ არა, ამაზე ამხელა ამბის ატეხვა შეიძლება? ბოლო-ბოლო, იმ ევროთასიდან რაც უფრო ადრე გავვარდები, ფულს ხო მით უფრო დავზოგავ. სად არის, ძმაო, ჩემი და შენი საქართველოდან გარეთ გასატანი და სხვებისთვის მისაფლანგი მაყუთი.

პაპუნა კედი

P.S. უმორჩილესად გთხოვთ, ტყე შეუნახოთ შვილებსა, მამები ხართ და თქვენი ვალია!



თამაში ჩემია, მოწინააღმდეგე, ბურთიც და... საერთოდ ყველაფერი

დღეს საქართველოს ჩემპიონატში გარიგებულ თამაშებთან დაკავშირებული წერილების ციკლის მეოთხე ნაწილს წარმოგიდგინთ. ოღონდ დავამატებთ, რომ წინა წერილში ლაპარაკი არა უშუალოდ გარიგებულ თამაშებზე, არამედ ზოგადად მატჩებისადმი მსაჯთა დამკვირვებელთა და სამსაჯო კომიტეტის დამოკიდებულებაზე გვქონდა. ისე ეი, მატჩის ინსპექტორის როლი დღევანდელ წერილშიც გაიყურებს.

ახლა ეი ისევ ძველ ამბებს მივუბრუნდეთ. პარასკევს „სარბიელში“ 2001 წლის აპრილის „გორდა“ — „სიონის“ მატჩზე გვეწერა, დღეს ეი, იმ მატჩიდან სამი კვირის თავზე ჩატარებულ „მერანი“ — „კოლხეთზე“ ვილაპარაკოთ. ამ თამაშზეც გვინდა ეჭვი, რომ გარიგებული იყო და ფეხბურთის ფედერაციამ შედეგიც გააუქმა, თუმცა იყო მთელი რიგი დეტალებისა, რომელიც „გორდა“ — „სიონის“, „მერანი“ — „კოლხეთისგან“ განასხვავებს.

თამაშის გარჩევა კი „გორდა“ — „სიონის“ მსგავსად ჩვენი ჟურნალისტის კობა ინასარიძის მიმოხილვით დავინწყით. კაცმა რომ თქვას, ამ 17 სტრიქონს მიმოხილვას ვერც დავარქმევთ, მაგრამ ყველაფერი სწორად ამ 17 სტრიქონიდან დაიწყო:

საეჭვო იყო ბევრი რამ. არ ნერვიულობდნენ მწვრთნელები, გოლის შემდეგ ისე-რა გამოხატავდნენ სიხარულს ფეხბურთელები, ძალიან უხეშად ცდებოდნენ სრულიად უუნებელ სიტუაციაში, რასაც გოლები მოჰყვებოდა ხოლმე. უჩვეულო იყო სამი შეცვლა შესვენებამდე, უცნაური კი — ერთ-ერთი მასპინძელი ფეხბურთელი შუა თამაშისას ტრიბუნაზე მყოფ მეუღლეს რომ ელაპარაკებოდა...

ესეც ისეთი მატჩი იყო, რომლის აღწერაც არ ღირს. არ ღირს კალმისა და ქაღალდის ხარჯად, არ ღირს, მკითხველმა თვალები დაიღალოს...

ეს მიმოხილვა 2001 წლის 24 აპრილს არის დაწერილი, ანუ „გორდა“ — „სიონის“ მატჩიდან ზუსტად 21 დღის თავზე. მატჩის მსვლელობა კი ასეთი იყო: გოდერძიშვილის წყვილი გოლით „მერანი“ პირველი ტაიმის 28-ე წუთისთვის 2:0-ს იგებდა, საბოლოოდ კი, თამაში ფოთელებმა მოიგეს 4:2.

მატჩის დასრულებიდან არცთუ დიდი ხნის მერე კი ფეხბურთის ფედერაციის საგანგებო კომიტეტმა ასეთი შინაარსის განცხადება გაავრცელა:

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საგანგებო კომიტეტმა გადაწყვიტა, არ დაამტკიცოს XII ეროვნული ჩემპიონატის II ეტაპის V ტურის მატჩის თბილისის „მერანი-91“ — ფოთის „კოლხეთი-1913“ შედეგი — 2:4, რადგან მატჩის მსვლელობისას არ იგრძნობოდა სპორტული სულისკვეთება ფეხბურთელთა მხრიდან და ადგილი ჰქონდა ფარ-ფლემის პრინციპების დარღვევას. საგანგებო კომიტეტმა შექმნა სპეციალური კომისია, რომელიც დეტალურად გამოიძიებს ამ საკითხს და 3 მაისამდე წარუდგენს დასკვნას საგანგებო კომიტეტს. ფედერაციის ამ განცხადე-

ბის გამოქვეყნებისთანავე, ბუნებრივია, „სარბიელის“ ჟურნალისტებმა გუნდების წარმომადგენლებს კომენტარები სთხოვეს. „მერანის“ მთავარ მწვრთნელ ოთარ გაბელიას დავით თავართქილაძე ესაუბრა, „კოლხეთს“ ვიცე-პრეზიდენტი თენგიზ ქოიავას კი — გიორგი ვაშაკიძე.

ოთარ გაბელია: — ასეთი ბინძური საქმისთვის ჩემთან მოსვლას ვერავინ გაბედავს და არც მე მიმიმართავს როდესმე ვინმესთვის. განა შესაძლებელია, ასეთი გარიგება გუნდის მწვრთნელის გვერდის ავლით მოხერხდეს? მაგრამ, თუ მაინც მოხდა და ამას დამატკიცებენ, მაგას რა სჯობს, ოღონდ ყველაფერი დასაბუთებული უნდა იყოს.

ვფიქრობ, რომ ბრალდება მოგონილია, ნაღდი თამაში იყო. ჩვენი მეკარე, უბრალოდ, აიჭრა და საიდანაც დაურტყეს, იქიდან გაუტანეს, ხოლო ფოთელმა ქვაჩახიამ 2:3-ზე ჩვენიანის ოთხი მეტრიდან დარტყმული ბურთი მოიგვრია. ერთი სიტყვით, არა მგონია, რომ მატჩი ჩაწყობილი იყო. რატომ დაუდგინა სფფ-ის საგანგებო კომიტეტმა სპეციალურ კომისიას გამოსაძიებელ ვადად 3 მაისი? თუ ყველაფერი ნათელია, მაშინ ამდენით დახანება რაღა საჭიროა? რაშია საქმე?

თენგიზ ქოიავა:

— უპირველესად მაინტერესებს, თუ ასეთი ეჭვი გაუჩნდათ, ჩვენ რატომ არ დავვიკავშირდნენ. თქვენგან გავიგეთ ყოველივე და მერე მატჩის კომისარ ბადრი ქარქაშაძეს თავად შევეხმინეთ, მან კი, მე არაფერი დამიწერიაო. ვერ გამოვიდა, რა უნდათ, ვერ იმაზე იტყვიანეს, ქუთაისის „ტორპედოსთან“ რომ წავაგეთ შინ. თითქოსდა, მათ თამაში დავუმთეთ და ახლა „მერანთანაც“ იმავეს ფიქრობენ.

მე ვუთხარი ქარქაშაძეს, თქვენი მოტივი ის არის, რომ „მერანი“ 2:0-ს იგებდა და 2:4 როგორ წააგო. მაშინ, „ვიტ ჯორჯია“ უგებდა „დინამოს“ 2:0-ს, მაგრამ ის თამაში ჩაწყობილი იყო? ან თუ-ნდაც, თუ ჩვენი შეხვედრა ჩაწყობილი გახლდათ, რატომ გავიტანეთ მეოთხე გოლი, 3:2-იც ხომ ხელს ვგაძლევდა? დაბეჯითებით ვაცხადებ, ეს თა-

მაში არ იყო ჩაწყობილი, ანუ კოსტან და, მით უფრო, „მერანთან“ არანაირი მოლაპარაკება არ გვექონია. მე ძალიან მაინტერესებს, ვის დაეხდა ეს აზრი. კი, ბატონო, ასე შალს კომისიამ და ენახოთ, რას გამოიძიებენ. ჩვენ არსად არ გავრბივართ, აგერა ორივე მატჩის ფერი, „ტორპედოსთან“ და „მერანთან“, ნახონ, გაარჩიონ, ვფიქრობ, არაფრითაი საფუძველი არ არსებობს იმისა, რომ მატჩი ჩაგვეყუტო. მადლობაც კი არ ყოფილა. ახ „მერანს“ რატომ აყენებენ შეურაცხყოფას, ან ჩვენ.

როგორც კომენტარებიდან ჩანს, კლუბების წარმომადგენლები იქით გადადიან შეტყევაზე. თანაც „კოლხეთის“ ვიცე-პრეზიდენტის შენიძვნა საფუძვლიანადაც უღერს. ქურნალისტებისგან რატომ გავიგეთ ყოველივე და მატჩის კომისარმა რატომ გვითხრა, მე არაფერი დამინერიაო.

სხვათა შორის ამ უპასუხო კითხვებზე მეორე დღეს მამუკა კვანტალიანი „სარბიელში“ წერდა:

... ავჭალაში თამაში ჩაწყობილი იყო. არა, ეროვნულ ჩემპიონატში გასაკვირი უკვე არაფერია, მაგრამ მაინც საინტერესოა ის მოტივი, თის გამოც „მერანმა“ „კოლხეთის“ თამაში დაუთმო.

ის ვარიანტი, თითქოს მასპინძელს სტუმრის ვალი ჰქონდათ (ახეთუ-ბიც ბლომად ყოფილა საქართველოს ჩემპიონატში), არარეალურად ჩანს. „მერანისა“ და „კოლხეთის“ ხელმძღვანელები არ იყვნენ, პირველ ეტაპზე ერთმანეთის საცემოდ რომ იწვევდნენ?

რატომ შეიტყვეს ავჭალაში და ფოთელმა საგანგებო კომიტეტს გადაწყვეტილება ჟურნალისტებისგან და რა მიზნით არ შეატყობინა ფედერაციამ?

თუ თენგიზ ქოიავას ვერწმუნებით, მატჩის ინსპექტორ ბადრი ქარქაშაძეს თავის პატაკში მსგავსი არაფერი დაუწერია. თავად ქარქაშაძემ, გუშინ, შინ რომ დაეკრუკეთ, კომენტარისგან თავი შეიკავა. „ხომ იცით, მე ადრეც არაფერზე არ ვლაპარაკობდი. ნუ ვეწყობათ, ფედერაციის პრესცენტრს მიხვართო“.

ოთარ გაბელიამ ეს განაცხადა:



ჩაწოვის საკითხები

კვლავ ატყდა ლაპარაკი ჩაწოვით თამაშებზე. ატყდა კი არა, პროკურატურა გამოიკვლიესო.

რას ნიშნავს დღევანდელი საქართველოში პროკურატურა, პროტანეთის ენციკლოპედიაში ამის საკითხი ნამდვილად არ არის ამიტომ, უნდა ვივარაუდოთ, რომ საქმე გრძელი და მძიმე იქნება. თან, თუ პროკურატურა მართლაც ხისტი და მკაცრი ამ საკითხში, მგონი, ამაზე წერა-კითხვაც რთული იქნება და ვეგბ ის სიხარული, ჩაწოვით თამაშები აღარ არისო, თავიდან სულ სხვა, სიხარულით სრულიად დაუკავშირებელმა რამეებმა გადაფაროს.

სიხარული კი, თუ ჩაწოვა არ იქნა, მართლაც სიხარული იქნება. ოღონდ, ჩაწოვაც არის და ჩაწოვაც. როგორც ზურთიკლა იტყვოდა, სოლის მიღების მრავალი ხერხი არსებობს. უფროსად ჩაწოვა, მგონი, დანაშაული არ უნდა იყოს, უბრალოდ, სპორტის მთავარ პრინციპს არღვევს. სხვათადასრულად რომ ვთქვათ, თამაში შეთანხმებულია და მორალურ საკითხში ყავარჯნები სჭირდება.

ფულით ჩაწოვით თამაშთან განსაკუთრებით კვლავ კლუბების მეთაურთა ღონისძიება ჩაწოვით თამაშები, როცა გუნდი გუნდს უთმობს. სრულიად ვერაგულია, როცა ერთ გუნდს მსაჯი უყვია და ასე ებრძვის მეორეს არანაკლებ ვერაგულია, როცა ერთს მეორის რამდენიმე მოთამაშე, ან მარტო მეკარე მოუქროთამაშეს.

არ ვიცი, რა ოდენობითაა ჩაწოვის ეს ხერხები საქართველოში, სადაც ძველ დროში ნებისმიერი საქმის ცხრა-მეთათვის ჩაწოვით იყო ფულიანი, უფრო უბრალოდ, მგონია, რომ თუ ჩაწოვას დიდი მასშტაბი აქვს, ეს ძველი და ძველი ჩვევაა, თორემ ჩვენს კლუბებს ჩასაწოვია რა უნდა ჰქონდეთ? რისთვის იბრძვიან? რაზე ეს უფრო მაკვნი ჩვევა მგონია, იმასაც დავამატებ, რომ ჩაწოვა სილატაის ბრალია. პატარა კლუბის მოთამაშეს ასე ფულის შოვნა უკლებს. სხვა, ღრმა მიზეზი ჩვენს ჩაწოვას არ უნდა ჰქონდეს.

ვეროსაგების ჩაწოვითა სიები რომ იყო შარშან, იქაც დაწინა კლუბების საკითხი იდგა. ანუ, ვისაც ფულის შოვნა ამ გზითაც უღირს.

იმ დღეს მეკარეს ბურთი ხელიდან გაუვარდა და მიიხრეს, არიფი ხარო, თამაში ჩაწოვითაა. მე ვერ მივხვდი. ამის შეგრძნება არ გამძნია.

მოდ და, გამოიძიე მგონი, გამოძიებას წინასწარი აღკვეთა სჯობს. თუმცა ამის ხერხებიც მოსაფიქრებელია.

სასაცილოა, ღმერთიანი: ვერა რა გვაქვს და, ისიც ჩაწოვითა?

ესე იგი, გუნდებს თავისი თავისა არ სჯერათ. თუ არ სჯერათ, რაღას თამაშობენ?

მოგონილი წიგნი და კინო კარგია, მოგონილი ფეხბურთი არ არსებობს. გამო რა, ვაგორე უკბურთი. ჩვენც ვიხალისებთ, მენცრამე გამოვივა, თუ მინდობს.

გაგივინათ, ჩაწოვა მთავარი მწერტონელის გარეშე ხდებოდეს? მე დისკვალიფიცირებული ვიყავი, მაგრამ იქვე ვტრიალებდი. ასეთი ბინძური საქმისთვის ჩემთან მოსვლას ვერავინ ვაბედავდა. თუ ეს სიმართლეა, ყველაფერი გამოიძიონ და მეც სიმართლის დადგენას მივემხრობი.

ყველაფერი კიდევ ერთხელ აირია. ჭორ-მართალი გადაიხლართა. ვიმეორებთ, გამოიძიებული ჩვენს ჩემპიონატში არაფერია, მაგრამ ეჭვსაც რომ აღძრავს არაერთი ბრალდება თუ თავის მართლებაც, ხომ ფაქტია.

ბოლოს ერთსაც ვიკითხავთ: საგანგებო კომიტეტის გადაწყვეტილება, „მერანი“ — „კოლხეთის“ მატჩის ორგანიზაციის წევრების გუშინაც ბეჭედი არ იცოდა. რატომ?

ერთი სიტყვით, კლუბების მიმართ ბრალდებებიც უსერიოზულესია და ფედერაციის მისამართით დასმული კითხვებიც საგულსხმოა. ყოველივე ეს კი პასუხებს მოითხოვს, თორემ კაცს თავგზა აებნევა: თამაში თითქოს „გაკეთებული“ იყო, ამ დროს საფუძველიც თითქოს არ ჩანს, კლუბთა წარმომადგენლების კომენტარებიც ისეთია...

ცეცხლზე ნავთს კი „მერანის“ პრეზიდენტი დავით ფურცელაზე ასხამს თავის კომენტარში, რომელიც 2001 წლის 28 აპრილის „სარბიელში“ გამოაქვეყნა:

თამაშის დამთავრებიდან 15 წუთში ქარქაშაძემ დამირეკა, ფედერაციაში ხარ დაბარებული. მივედი. მერაბ ჟორდანიას, ვალერი ჩოლოია და საშვეიბრო კომიტეტის უფროსი ვია ფირცხალავა დამხვდნენ. მიიხრეს, „კოლხეთთან“ მატჩი საეჭვო იყო, წინასწარ გარიგებულს ჰგავდაო. მე, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ვიუარე, ამგვარი არაფერი ყოფილა-მეთქი.

ქარქაშაძეს ვუთხარი, მატჩის შემდეგვე რატომ არ მიიხარით, მატჩმა თუ დაგაეჭვათ-მეთქი. მან მიპასუხა, მე არაფერში დავეჭვებულვარ და არც ფედერაციაში არაფერი მითქვამს და დამიწერიაო. ყველაფერი კი იმის ბრალია, ფედერაციაში ჭორაობის მეტს რომ

არაფერს აკეთებენ. რაღაცას ივარაუდებენ და, თუ გამართლდა, იტყვიან, მატჩი ჩაწოვით იყო. ყურნაღისტები კი რატომღა დაეჭვდით, ამას ნამდვილად ვერ გეტყვი.

ერთიცაა საგულსხმო: ფედერაციის პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიას ყურამდე ბევრი რამ არ მიდის. მატჩების ინსპექტორები თამაშის შემდეგ ოქმში იმას წერენ, რაც ხელს აძლევთ. ერთი გუნდის დანაშაული შეიძლება ოქმში არ დააფიქსირონ, მეორის ზუსტად ისეთივე ქცევა კი დიდი ასოებით ჩაწერონ.

ერთხელაც ვთქვით, რომ კითხვები მრავლად ჩნდება, თუმცა 1 მაისის „სარბიელში“ კობა ინასარიძე ფედერაციის მაღალჩინოსნების ინფორმაციაზე დაყრდნობით გვამცნობს:

ნუ გაიკვირებთ — საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ჯამუშები მუშაობენ. ისინი, როგორც მათი საქმე მოითხოვს, ჩუმად სხედან, ინფორმაციას აგროვებენ და მერე ყველაფერს ფედერაციის საგანგებო კომიტეტს უკავლავენ.

ასე ყოფილა ეროვნული ჩემპიონატის დაწინაურებული ექვსეულის მეხუთე ტურის „მერანი“ — „კოლხეთის“ მატჩისას და მატჩის შემდეგაც: ფედერაციის გზარი „სინათლის“ ტრიბუნაზე მოკალათებულიყო და ყოვლად უაზარტო მატჩს უტყუარდა. დამთავრდა მატჩი და მან ფედერაციის ჩინოსნებს ასეთი ინფორმაცია მიაწოდა — დავეჭვდი, მგონი, თამაში ჩაწოვით იყო. ამის გამგონე ვალერი ჩოლოია კი, ფედერაციის გენერალური მდივანი და საგანგებო კომიტეტის წევრი, „მერანი“ — „კოლხეთის“ ინსპექტორს დაუკავშირდა და სთხოვა, „მერანის“ პრეზიდენტ დავით ფურცელაძისთვის გადაეცა, რომ მას ფედერაციაში იბარებდნენ. ყოველივე ეს მატჩის დამთავრებიდან 15-20 წუთში მოხდა. საეჭვო მატჩზე ინფორმაცია ფედერაციამ ოპერატიულად მიიღო:

— რამდენჯერმე ადრეც მიითქვამს, ფედერაციას ეროვნული ჩემპიონატის მატჩებზე ინსპექტორის გარდა, სხვა არაოფიციალური წარმომადგენელიც ეყოლება-მეთქი. ასე იყო „მერანი“ — „კოლხეთის“

მატჩზეც. „სინათლეზე“ იყო ინსპექტორი ბადრი ქარქაშაძე, იყვნენ მსაჯეებიც, მაგრამ იყო ერთი კაციც, რომელმაც პირველმა მიიხრა, მატჩი საეჭვოა ჰგავდაო. დიას, შეგიძლიათ, ჩათვალეთ, რომ ჩვენ ჯამუშები გვაყვს — გვითხრა გუშინ ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლოია.

ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე საგანგებო კომიტეტის მიერ მატჩის შედეგი 2:4 არ იქნა დამტკიცებული. უფრო სწორად რომ ვთქვათ, ჯამუშის ეჭვი ინსპექტორმა ქარქაშაძემ და მსაჯეებმა გაიზიარეს თავიანთ პატაკებში, თუმცა „მერანის“ პრეზიდენტმა დავით ფურცელაძემ ამასწინაღულ პრესკონფერენციაზე აღნიშნა, ქარქაშაძეს ვესაუბრე, ის არაფერს დაუჭვებია და პატაკში ამის თაობაზე არაფერი დაუწერიაო. ვალერი ჩოლოია კი ამბობს, ქარქაშაძემაც და მსაჯეებმაც დაწერეს, რომ მატჩი საეჭვო იყო.

ეს ჟურნალისტებმაც ვთქვით, და საბოლოო სიტყვის დღე 3 მაისი გამოცხადდა. სწორედ 3 მაისი, რადგანაც საგანგებო კომიტეტმა იქამდე ყველაფერი უკეთ უნდა შეისწავლოს. თუმცა კი დღესვე შეიძლება ითქვას, რომ ორივე გუნდი დაისჯება, ნაღდად დაისჯება. რისთვის?

— ფეიქ პლეის პრინციპების დარღვევისთვის მატჩის უბრძოლველად დათმობისა და მაყურებლის უპატივცემულობისთვის — გვითხრა ვალერი ჩოლოია და ისიც დაამატა — 3 მაისამდე საგანგებო კომიტეტი თუ დარწმუნდა, მატჩი ჩაწოვით იყო, „მერანი“ და „კოლხეთიც“ უფრო მეტად დაისჯებიან, დღეს რომ ვფიქრობთ.

ეს კი სიახლეა — ჯამუშობას ვგულისხმობთ. მართალია, რაც აქამდე გვეჩერა შვიდი წლის წინანდელი ამბებია, მაგრამ თავად ფაქტი — ფედერაციამ ჯამუშობა ქსელის არსებობა რომ ასხენა, ჩვენი ფეხბურთისთვის უპრეცედენტო ფაქტია. ოღონდაც, ერთი იგავისა არ იყოს, ფედერაცია მა-

ტჩზე ნიშნავს ინსპექტორს და ამავ დროს მიაველნს ჯამუშებსაც... ანუ ამკარაა, რომ ფედერაცია ინსპექტორს ნაკლებად ენდობოდა და ინსპექტორს მეთვალყურეს უნიშნავდა. ჰოდა, ხომ არ ჯობდა, ინსპექტორს შტატის ნაცვლად მატჩის ჯამუშის შტატი შემოეღო?

მაგრამ, ხომ იცით მერე რაც იქნებოდა: ჯამუშს ზემდგომ ჯამუშს დაუნიშნავდნენ და ასე შემდეგ...

3 მაისს კი ფეხბურთის ფედერაციის საგანგებო კომიტეტმა დადგენილება მიიღო:

ფეხბურთის ფედერაციის საგანგებო კომიტეტის დადგენილება:

1. ფოთის „კოლხეთს“ ჩამოერთვას არასპორტულ ბრძოლაში მოპოვებული სამი ქულა და ჩაეთვალოს წაგება 0:3.
2. ფეიქ პლეის პრინციპების დარღვევისა და არასპორტული საქციელისთვის „მერანს“ ჩაეთვალოს წაგება 0:3, ჩამოერთვას 3 ქულა, დაჯარიმდეს 5 ათასი ლარით.
3. ორივე გუნდს მიეცეს პირობითი დისკვალიფიკაცია სეზონის ბოლომდე.

ამ დადგენილების ნაკითხვის მერე კი კობა ინასარიძე წერდა:

დაბოლოს, მერაბ ჟორდანიას სიტყვები — პირადად ჩემთვის არასპორტული საქციელი ვარიგებას, ჩაწოვას ნიშნავსო — ისე ხომ არ უნდა გავიგოთ, რომ „მერანი“ — „კოლხეთი“ მართლაც ჩაწოვით იყო? თუმცა ფაქტია, საგანგებო კომიტეტს გუნდები მატჩის ჩაწოვისთვის არ დაუსჯია.

ერთი სიტყვით, ჩვენთან ყველაფერი რაღაც ისე ვერ არის. ამკარაა, რომ მოვლენებისთვის ნაღდი სახელების დარქმევა ზოგადი ქართული პრობლემაა და თუ ამ პრობლემის მოგვარების პირი ვერა (7 წლის მერეც) ვერ გამოჩნდა, ეგებ ამის ბრალიც იყოს...

გიორგი დარჯანი

ხვალინდელ «სარბიელში»:
ეს საეჭვო, საეჭვო, საეჭვო ბომბარდირები



ქართველები უცხოეთში შოთური აგზავნი

ოთხშაბათს საქართველოს ნაკრები წლის მეორე ამხანაგურ მატჩს ითამაშებს და მოდით, ვადავხედოთ, რა მონაგარი ჰქონდა ამ უქმეებზე ქართულ ლეგიონს...

ესპანეთში პირველად ამ სეზონში, ითამაშა ახალგაზრდა მორთულეულმა შოთა არველაძემ!

მისი „ლეგანტი“ შინ 1:2 დამარცხდა „ვილიარეალთან“. შოთა 85-ე წუთზე შევიდა მოედანზე და მიუხედავად იმისა, რომ ბევრით ვერაფრით შეეწია გუნდს, თავად ფაქტია მნიშვნელოვანი.

ზურაბ ხიზანიშვილის „ბლეკბერნში“ შინ „უიგანს“ 3:1 სძლია და უეფას თასზე გასვლის შანსი გაიზარდა. „ხიზანამ“ სრულად ჩაითამაშა ეს მატჩი, რომელიც „ვარდებმა“ ვმირულად მოიგეს. რომელი გრანდი „უიგანია“, მაგრამ როდესაც 1:1 იყო, მასპინძლებს კაცი გაუძევეს და დარჩენილ დროში ორი ვოლი მაინც შეაგდეს.

სერია A-ში ორი მარცხის შემდეგ „მილანმა“ „ტორინოსთან“ გასულაზე მოიგო და კახა კალაძემაც სრულად ითამაშა. მართალია, საჭირო სამი ქულა იყო, მაგრამ „როსონერებმა“ მაინც ვერ შეამცირა სხვაობა კონკურენტებთან. „იუვენტუსმა“ და „ფიორენტინამაც“ იმარჯვეს და კალაძის გუნდი „სამპდორი“ მეხუთე ადგილზე დარჩა.

შვეიცარიასა და ავსტრიაში ტურმა ქართველების გარეშე ჩაიარა: „თუნმა“ 2:4 დათმო „ინგ ბოისთან“ და ბოლო ადგილი „გაიმყარა“, „შტურმი“ „მატერსბურგს“ სტუმრად 1:1-ზე გაეყარა და მეოთხე საფეხურზეა, ხოლო ავსტრიის მეორე ბუნდესლიგაში ლუშტენაუს



„აუსტრიაში“ „ზალცბურგ B“-სთან 2:2 ითამაშა და მეორეზეა. ეს ყველაფერი სანდრო იაშვილის, გიორგი შაშიაშვილისა და მირზა ბჟაღავას გარეშე.

გერმანულ ბუნდესლიგაში კალსრუელ ალექსანდრე იაშვილს სტუმრად ღორტმუნდში პირველი ტაიმი აკმარეს. ჩვენთან ისე მაგრად ვერ ითამაშა, როგორც წინა მატჩებში და მწვრთნელმა ედმუნდ ბეკერმაც ამდ შეცვალა. მატჩი 1:1 დასრულდა და „კარლსრუეც“ ინარჩუნებს მეექვსე ადგილს.

ვადავიდეო რუსეთში, სადაც მოსკოვის „ლოკომოტივი“ ტრავმიანი მალზაზ ასათიანისა და დავით მუჯირის გარეშე 2:1 მეორია „შინიკს“. როგორც ჩანს, მუჯირს ადაპტაცია სჭირდება ახალ გუნდში...

უკრაინაში ოფიციალური დებიუტი ღებოუტი ჰქონდა სანდრო კობახიძეს, ვინაც „ზაკარპატივთან“ ბოლო 13 წუთი ითამაშა — ვაბა კანკავა შეცვალა. „დნიპრო“ 1:1-ს დასჯერდა და ძნელად სავარაუდოა, ჩემპიონობისთვის გაიბრძოლოს. ამკარაა, რომ ქართველების გუნდი კიევის „დინამოსა“ და დონეცკის „შახტარის“ კლასისა არაა. ჩვენ კი ის უფრო ადვილშოთ, რომ

კანკავა ბოლო ოთხი მატჩიდან პირველად მოხვდა ძირითადში, კობახიძეზე კი უკვე ვთქვი...

